# შრომის ბაზრის კვლევა

## კვლევის განმახორციელებელი

### სსიპ კოლეჯი „აისი“

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი

2020 წელი

# შინაარსი


შესავალი .....3

კვლევის მიზნები.....3

კვლევის ამოცანები.....4

კვლევის
მეთოდოლოგია.....4

კვლევის ტექნიკური
მხარე.....5

კვლევის შედეგები
კერძო სექტორი და დამსაქმებლები.....6

კვლევის შედეგები
საზოგადოება.....12

კვლევის შედეგები
ადგილობრივი თვითმმართველობა.....17

დასკვნა.....20

# შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისთვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობასა და შრომის ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას. შრომის ბაზრის მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება, დასაქმებისა და ბიზნესის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სამუშაო ძალისთვის პროფესიული სწავლების დაგეგმვა, ზრდასრულთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება უნდა მოხდეს შრომის ბაზრის შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თუმცა, ხშირად შრომის ბაზრის მოთხოვნა და საზოგადოების ინტერესები თანხვედრაში არ არის. ამიტომ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნასთან ერთად მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესების კვლევა მათი საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისა და ზრდასრულთა მომზადება გადამზადების პროგრამების შემუშავების და დანერგვის მიზნით, კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისსა და კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტში (საგარეჯო, გურჯაანი, თელავი, სიღნაღი, ლაგოდეხი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყვარელი) კერძო სექტორს, საზოგადოებასა და კახეთის რეგიონის ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან.

# კვლევის მიზნები

კვლევის მიზანია, შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა განწყობებისა და მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება, რომელიც უნდა მიეწოდოს დაინტერესებულ მხარეებს: პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დამსაქმებლებს, სამუშაოს მაძიებლებს, სოციალურ პარტნიორებს, დასაქმების კერძო სააგენტოებს, სხვადასხვა კვლევით, დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

## კვლევის ამოცანები

კვლევის ამოცანას  წარმოადგენს შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლა:

- პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლა საზოგადოების, კერძო სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობით;
- კერძო სექტორისთვის მნიშვნელოვანი სპეციალობების განსაზღვრა, რომლებზეც შეიძლება გაჩნდეს საჭიროება მათ საწარმოში ან ორგანიზაციაში მომდევნო 1-5 წლის განმავლობაში ;
- კერძო სექტორის მზაობის დადგენა, სსიპ კოლეჯ „აისთან“ თანამშრომლობით გადაამზადოს საწარმოს/ორგანიზაციის კადრები;
- იმ პროფესიების გამოვლენა, რომელიც ყველაზე პერსპექტიული იქნება სამომავლოდ კახეთის რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე;
- საზოგადოების წარმომადგენელთა ინტერესების კვლევა მათთვის სასურველი პროფესიების დადგენის მიზნით;
- სასურველი კომპეტენციის მისაღებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების  ხანგრძლივობის განსაზღვრა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მოლოდინების შესწავლა.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა Google Drive-ის საშუალებით ინტერნეტ გამოკითხვით.  თუმცა, პარალელურად გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - სატელეფონო  გამოკითხვაც, რათა  მეტ-ნაკლებად გაკონტროლებულიყო რესპოდენტების შესაბამისობა და ინტერნეტ გამოკითხვა ყოფილიყო გაცილებით უფრო სანდო.

გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელმაც მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა.

კვლევის ჩასატარებლად შემუშავებული იქნა სამი ფორმის კითხვარი:

- კითხვარი N1 გათვალისწინებული იყო სამეწარმეო სუბიექტების (დამსაქმებლების) გამოსაკითხად;
- კითხვარი N2 - საზოგადოების სხვადასხვა ასაკისა და ფენის წარმომადგენელთა გამოსაკითხად;
- კითხვარი N3 - ადგილობრივი თვითმმართველობის გამოსაკითხად.

თითოეულ კითხვაზე რესპონდენტს უნდა გაეცა მხოლოდ ერთი პასუხი. თუმცა, ზოგიერთ კითხვაზე დასაშვები იყო რამდენიმე პასუხის გაცემა.

## კვლევის ტექნიკური მხარე

კვლევა განხორციელდა სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის ორგანიზებით და კოლეჯ „აისის“ თანამშრომლების გარკვეული ჯგუფის აქტიური მხარდაჭერით.

კვლევის შედეგები კომპიუტერული წესით დამუშავდა. კომპიუტერში მონაცემთა შეყვანა, შესაბამისი ბაზის ფორმირება, შეწონვა და აგრეგირება განხორციელდა Google Drive-ში. კვლევის მეთოდურ და ორგანიზაციულ მომზადებას, მიმდინარეობის მონიტორინგსა და კვლევის შედეგების დამუშავებას ხელმძღვანელობდნენ სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი. ანგარიშის მომზადებისას გამოყენებული იქნა ჩატარებული კვლევის შედეგები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო, როგორც წინასწარ შერჩეული კვლევის ობიექტების გარკვეულმა რაოდენობამ, ასევე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა, რომელმაც თავად გამოთქვეს სურვილი კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. საბოლოოდ, კვლევის მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრა 420 რესპოდენტით:

1. კერძო სექტორის წარმომადგენლები - 162 რესპოდენტი
2. საზოგადოების წარმომადგენლები - 224 რესპოდენტი
3. თვითმმართველობის წარმომადგენლები - 34 რესპოდენტი

კვლევა მიმდინარეობდა 2020 წლის 16 მარტიდან 30 აპრილის პერიოდში.

# კვლევის შედეგები - კერძო სექტორი

კვლევა ჩატარდა კერძო სექტორის 162 წამომადგენელთან და გამოკითხული რესპოდენტების საწარმოს/ორგანიზაციის საქმიანობის სფერო, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანი აღმოჩნდა, პროცენტულად ასე გადანაწილდა:




| დასახელება | % |
|---|---|
| სოფლის მეურნეობა | 29.63 |
| მრეწველობა/წარმოება | 6.79 |
| ტურიზმი | 4.94 |
| კვება | 7.41 |
| ვეტერინარია | 9.26 |
| ინჟინერია | 12.96 |
| განათლება | 1.85 |
| მშენებლობა | 8.02 |
| ფინანსები | 3.7 |
| ვაჭრობა | 1.23 |
| ჯანდაცვა | 6.17 |
| ხელოვნება | 6.79 |
| სხვა | 1.23 |

გამოკითხულ რესპოდენტთა საწარმოში/ორგანიზაციაში დასაქმებულთა რაოდენობა არის განსხვავებული და შემდეგნაირად ნაწილდება:

- 300-ზე მეტი დასაქმებული ყავს - გამოკითხულთა 3,2%-ს
- 100-დან 300-მდე დასაქმებული ყავს - გამოკითხულთა 3,2%-ს
- 50-დან 100-მდე დასაქმებული ყავს - გამოკითხულთა 3,2%-ს
- 20-დან 50-მდე დასაქმებული ყავს - გამოკითხულ მეწარმეთა 9,7%-ს
- 5-დან 20-მდე დასაქმებული ყავს - გამოკითხულ მეწარმეთა 38,7%-ს
- 1-დან 5-მდე დასაქმებული ყავს - გამოკითხულთა ყველაზე მეტ 41,9%-ს.




კითხვაზე, თუ რა ფორმით უზრუნველყოფენ საკუთარი საწარმოს/ ორგანიზაციის პროფესიონალი კადრით დაკომპლექტებას, აქ რესპოდენტს შეეძლო მოენიშნა რამდენიმე პასუხი, შესაბამისად პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა 18 პასუხი - არსებული კადრების გადამზადებით საკუთარი ძალებით, 68 პასუხი - არსებული კადრების გადამზადებით გარე რესურსის დახმარებით და 76 პასუხი - ახალი კვალიფიციური კადრის აყვანით.

| | |
|---|---|
| არსებული კადრების გადამზადებით საკუთარი ძალებით | 18 |
| არსებული კადრების გადამზადებით გარე რესურსის დახმარებით | 68 |
| ახალი კვალიფიციური კადრის აყვანით | 76 |

სპეციალობების ჩამონათვალი, რომლებზეც გამოკითხულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შეიძლება გაჩნდეს საჭიროება მომდევნო 1-5 წლის განმავლობაში, რესპოდენტთა პასუხებში ჭარბობს მეღვინეობა და მევენახეობა (10-10 პასუხი), ღვინის მოვლა, ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა, ყურძნის გადამუშავება და ვინიფიკაცია (7-7 პასუხი), ინფორმაციის ტექნოლოგია (6 პასუხი), ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნარგავებით, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, მიმტანი (5-5 პასუხი), ფუტკრის მოვლა-პატრონობა, საოფისე საქმე (4-4 პასუხი), ბუღალტრული აღრიცხვა, კულინარიის ხელოვნება და ხის მხატვრული დამუშავება (3-3 პასუხი), კონდიტერი, მცხობელი, ბარმენი, შედუღება, ხეხილის ბაღის გაშენება და მოვლა, პირუტყვის მოშენება ბიო მეთოდებით (2-2 პასუხი), იყო თითო პასუხი შემდეგ სპეციალობებზე: საექთნო საქმე, მეცხოველეობა, კინოლოგი, ვეტ-ფარმაკოლოგია, იხტიოლოგია, დურგალი და თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი.



აღნიშნული კვლევის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა მხრიდან, ყველაზე მოთხოვნადი აგრარული მიმართულებისა და მომსახურების სფეროს სპეციალობებია. რაც შეეხება, სასურველი კომპეტენციების მიღების მიზნით პერსონალის მომზადების ხანგრძლივობას, კერძო სექტორის ყველაზე მეტი რაოდენობა - 33,3% ფიქრობს, რომ საკმარისია 3 თვიდან 6 თვემდე პერიოდი; 23,3%-ის აზრით კომპეტენციების შეძენას ჭირდება 1-დან 2 წლამდე ხანგრძლივობის პროგრამები; 20% ფიქრობს რომ მაქსიმუმ ერთი წელი საკმარისია სწავლისთვის; 13,3%-ის აზრით, კვალიფიკაციის მიღებისთვის აუცილებელი 2-დან 3 წლამდე პერიოდი; დამსაქმებელთა მხოლოდ 10% ფიქრობს, რომ




სასურველი კომპეტენციების მისაღებად 1-დან 3 თვემდე პერიოდი სრულიად საკმარისია. აქ შესაძლოა, იგულისხმებოდეს მოკლევადიანი მომზადების და გადამზადების პროგრამები.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ საწარმოთა უმრავლესობას, დაახლოებით 84%-ს, აქვს სურვილი საკუთარი კადრები გადაამზადოს კოლეჯი „აისის“ დახმარებით, მხოლოდ 16%-მა განაცხადა უარი.



კოლეჯ „აისთან“ სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობის სურვილი კერძო სექტორის გამოკითხულთა უმრავლესობამ გამოთქვა. თანამშრომლობის რა ფორმა არის მათთვის მისაღები, გამოსახულია შემდეგ სქემაზე:




- კურსდამთავრებულთა დასაქმება / ხელშეწყობა - 54,8%
- მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში - 41,9%
- მხარდაჭერა სწავლებისთვის აუცილებელი ფინანსებით - 3,2%
- საწარმოს პერსონალის მონაწილეობა სასწავლო პროცესში (ლექციები, სემინარები) – 25,8%
- სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაში ჩართულობა, მონაწილეობა სასწავლო პრაქტიკის პროცესში - 54,8%
- დისტანციური სწავლების პროცესში - 9,7%

რაც შეეხება, დუალური (სამუშაოზე დაფუძნებული) სწავლების მიმართულებით საწარმოთა ჩართულობას, გამოკითხულთა 64,5% თანახმაა ჩაერთოს დუალური სწავლების პროცესში, 35,5%-ს არ შეუძლია.




გამოკითხულ დამსაქმებელთა უმრავლესობას, დაახლოებით 63%-ს შეუძლია დაასაქმოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები, 37%-ს ამ ეტაპზე ამის შესაძლებლობა არ აქვს.




კერძო სექტორის წარმომადგენლებმა დაასახელეს ის სფეროები და პროფესიები, რომლებიც მათი აზრით სამომავლოდ იქნება საჭირო მათი საწარმოებისთვის ან კახეთის რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე.

მათი აზრით, ძირითადად აგრარული მიმართულებების სპეციალობებზე გაიზრდება მოთხოვნა და ეს პროფესიები ასე გადანაწილდა: აგრონომი, მეღვინე, ღვინის ტექნოლოგი, მევენახე, ბიომევენახე, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, მებოსტნეობა, კაკლოვნებისა და კენკროვნების კულტურების სპეციალისტები.

კერძო სექტორის მხრიდან მოთხოვნად პროფესიებში დასახელდა ასევე, ბუღალტერია და ინფორმაციის ტექნოლოგია. ბუღალტერი, ისევე როგორც

კომპიუტერული ტექნოლოგიის სპეციალისტი, ნებისმიერ ბიზნესს სჭირდება. გარდა ამისა, კვალიფიციური ბუღალტერი მნიშვნელოვანია საგადასახადო სამსახურებთან ურთიერთობაში, კომპანიების ფინანსურად გამართვასა და გაუთვალისწინებელი ხარჯების თავიდან აცილებაში.

მომსახურეობის სფეროს სპეციალობები - მზარეული, ხაბაზი, მიმტანი, კერძო სექტორის თვალსაზრისით ასევე მოთხოვნადი იქნება. ჯანდაცვის სფეროდან გამოიკვეთა საექთნო საქმე და ტურიზმის სფეროს სპეციალობებიდან გიდის სპეციალობა. ინჟინერიის მიმართულების სპეციალობებიდან ყველაზე მოთხოვნად პროფესიებად ელექტრიკოსი და შემდუღებელი დასახელდა.

## კვლევის შედეგები - საზოგადოება

როგორც აღვნიშნეთ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნასთან ერთად მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესების კვლევა მათი საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის. საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისთვის სპეციალურად შემუშავდა კითხვარი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 224-მა სხვადასხვა სქესის, ასაკისა და განათლების მქონე ადამიანმა. მათ შორის ყველაზე მეტი - დაახლოებით 65% იყო 15-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდა. 25% იყო 25-დან 45 წლამდე ასაკის მოქალაქე, ხოლო დარჩენილი 10% იყო 45 წლის ზევით ასაკის




პირი.

აღმოჩნდა , რომ კვლევაში მონაწილეთა 67,8% კარგად იცნობს კოლეჯ „აისს“ და მიმდინარე პროგრამებს. 27,5%-ს აქვს მეტ-ნაკლები წარმოდგენა კოლეჯის შესახებ. 4,7%-ს კი არ იცნობს კოლეჯის საგანმანათლებლო შესაძლებლობებს.

კოლეჯ „აისის“ მიერ შეთავაზებულ პროგრამების ჩამონათვალში, მოცემული იყო პროფესიები სხვადასხვა სფეროებიდან. საზოგადოების მხრიდან 3 ყველაზე მოთხოვნადი პროფესიიდან პირველ ადგილს კულინარიის ხელოვნება იკავებს, მეორე ადგილს - ინფორმაციის ტექნოლოგია და მესამე პოზიციაზე დასახელდა საექთნო საქმე.



მზარეულისა და კულინარიის სპეციალობებზე ყოველთვის იყო მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან, ასევე სტაბილურად იზრდება IT სპეციალობების პოპულარობა. რაც შეეხება, საექთნო საქმეს, კორონავირუსის COVID-19 პანდემიის პერიოდში, საკმაოდ საჭირო პროფესია აღმოჩნდა და სავარაუდოდ, სამედიცინო მიმართულების სპეციალობები აქტუალობას არასოდეს დაკარგავს.

კვლევის თანახმად, საზოგადოების მხრიდან ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების ათეულის სია ასე გამოიყურება:

1. კულინარიის ხელოვნება
2. ინფორმაციის ტექნოლოგია
3. საექთნო საქმე
4. ფარმაცია
5. მეღვინეობა
6. ვეტერინარია
7. თმისა და სილამაზის მომსახურება
8. ბუღალტრული აღრიცხვა
9. კონდიტერი
10. საოფისე საქმე

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების წარმომადგენელთა გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ყველა პროფესია ასე თუ ისე, საჭიროა და ათეულში შესული პროგრამების გარდა მათი მხრიდან ინტერესი და მოთხოვნა სხვა პროგრამებზეც დაფიქსირდა. ასე, მაგალითად: ძრავისა და სავალი ნაწილის შეკეთება, სამკერვალო წარმოება, მიმტანი, ბარმენი, აღმზრდელი და სხვა.

რაც შეეხება, მოკლევადიან მომზადების პროგრამებს, კოლეჯი „აისი“ ზრდასრულებს სთავაზობს როგორც აგრარული მიმართულების სპეციალობებს, ასევე ინჟინერიის და ხელოვნების მიმართულების სპეციალობებსაც. საზოგადოებისთვის, ისევე როგორც კერძო სექტორისთვის ამ ეტაპზე სწორედ აგრარული მიმართულების სპეციალობები აღმოჩნდა პრიორიტეტული. მოკლევადიან მომზადების პროგრამებზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. ღვინის მოვლა, ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა - 21
2. ხეხილის ბაღის გაშენება და მოვლა - 18
3. ფუტკრის მოვლა-პატრონობა - 16

4. ყურძნის გადამუშავება და ვინიფიკაცია - 12
5. ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება  ახალი ნარგავებით - 12
6. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ბიოწარმოება - 11
7. ტყის აღდგენა-გაშენება - 11
8. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქტების წარმოება - 8
9. პირუტყვის მოშენება ბიო მეთოდებით - 4
10. ელექტრონული მონტაჟი და უსაფრთხოება - 4

რა ხანგრძლივობის უნდა იყოს პროგრამა, რომ პირმა მიიღოს სასურველი კომპეტენციები? ამ კითხვაზე კერძო სექტორისგან განსხვავებით საზოგადოების მხრიდან პროცენტული მაჩვენებელი ოდნავ განსხვავებული აღმოჩნდა.

ყველაზე მეტი, 41,5% ფიქრობს, რომ აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესი გრძელდებოდეს 1-დან 2 წლამდე. გამოკითხულთა 34,9%-ის აზრით, პროფესიული განათლების მისაღებად მაქსიმუმ 1 წელია  საჭირო. 12,3% ფიქრობს, რომ სასურველი კომპეტენციების მისაღებად აუცილებელია 2-დან 3 წლამდე პერიოდი, 7,5%-ის აზრით, განათლების მიღების მსურველი 3-დან 6 თვემდე მიიღებს შესაბამის კვალიფიკაციას და მხოლოდ 3,8% ფიქრობს, რომ სასურველი კომპეტენციების მისაღებად 1-დან 3 თვემდე პერიოდიც საკმარისია.




კითხვაზე, რომელ პროფესიებზე შეიძლება გაჩნდეს საჭიროება მომდევნო 1-დან 5 წლის პერიოდში, საზოგადოების წარმომადგენელთა პასუხები გაცილებით მრავალფეროვანი იყო ვიდრე კერძო სექტორის.

მათ დაასახელეს ის სფეროები და პროფესიები, რომლებზეც უახლოეს 1-5 წლის პერიოდში საჭიროება გაიზრდება. კვლევაში მონაწილეთა თვალსაზრისით მომავლის პროფესიების ხუთეულის სია სფეროების მიხედვით ასე გადანაწილდა:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლის მართვაზე მოთხოვნა ყოველ წელს მატულობს. ამ სფეროს სპეციალისტებზე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშია მოთხოვნა. კომპანიებს მუდმივად სჭირდებათ კომპიუტერული ტექნოლოგიების საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც ტექნიკურ პრობლემებს მყისიერად აღმოფხვრიან და პასუხისმგებელიც იქნებიან ქსელის გამართულ მუშაობაზე. საზოგადოების აზრით ეს სფერო მომავალში კიდევ უფრო მოთხოვნადი და პერსპექტიული გახდება.
2. გაიზრდება მოთხოვნა აგრარული მიმართულების ყველა სპეციალობაზე და სოფლის მეურნეობის სპეცალისტებზე, მათ შორის ბიო მიმართულებით. აგრარული სფეროს სპეციალობებს შორის დასახელდა შემდეგი სპეციალობები: აგრონომი, მეღვინეობა, მევენახეობა, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, სატყეო საქმე, ხეხილის ბაღის გაშენება და მოვლა, ნერგების გამოყვანა/მყნობა, სამაცივრე მეურნეობების მოწყობა/მართვა, კვების პროდუქტების ტექნოლოგი, რძის გადამმუშავებელი და სხვა.
3. მესამე ადგილს იკავებს ავტომობილის ელექტრონული დიაგნოსტიკა. მსოფლიოში სწრაფად ვითარდება ელექტრო ენერგიაზე მომუშავე ავტომობილები და საერთოდ ელექტროობა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამ სფეროში უფრო მეტი პროფესიონალი იქნება საჭირო.
4. საზოგადოების მხრიდან მეოთხე ადგილზე მომსახურების სფეროს სპეციალობები დასახელდა: მზარეული, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერი, ბარმენი.
5. საზოგადოების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ექიმის, ექთნის, ფსიქოლოგის, პედაგოგის და აღმზრდელის სპეციალობებზე მომავალში ასევე გაიზრდება მოთხოვნა.

საზოგადოების მხრიდან მომავლის პროფესიებში დასახელდა ისეთი საინტერესო პროფესიები, როგორიცაა: პროგრამისტი, ვებ-დეველოპერი, მობილური აპლიკაციების დეველოპერი, სოციალური მედიის მენეჯერი და ინფლუენსერ-მარკეტოლოგი. მართლაც, აღნიშნულ სპეციალობებზე მოთხოვნა სტაბილურად მზარდია. ბიზნეს კომპანიები საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში კორპორატიული პროფილების ინტეგრირებასა და განვითარებას. ასევე, მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებასა და დანერგვას.

## კვლევის შედეგები - ადგილობრივი თვითმმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, კახეთის რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულებისა და თანამშრომლობის შესწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული განათლების მიმართ. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

1. კონკრეტული მუნიციპალიტეტის ჩართულობის შესწავლა მოსახლეობისთვის პროფესიული განათლების მიღების პროცესში;
2. პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის ფორმების შესწავლა ;
3. მუნიციპალიტეტისთვის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომის პრიორიტეტულობის შესწავლა;
4. მუნიციპალიტეტებში არსებული/მოსალოდნელი პროფესიებისა და სპეციალობების შესწავლა;
5. სამომავლოდ კახეთის კახეთის რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე. ყველაზე პერსპექტიული სპეციალობების გამოვლენა;

კვლევაში მონაწილეობა მიიღო კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის 34-მა წარმომადგენელმა. გამოკითხული რესპოდენტები პროცენტულად ასე გადანაწილდნენ:



როგორც კვლევის შედეგმა აჩვენა, კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჩართულობა მოსახლეობისთვის პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციების სხვადასხვა ფორმით მიწოდების პროცესში საკმაოდ აქტიურია. გამოიკვეთა, რომ კახეთის რეგიონის მუნიპალიტეტების აბსოლუტური უმრავლოსობა სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობს კოლეჯ „აისთან“ და მის ფილიალებთან. ერთობლივად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, სკოლის მოსწავლეებისთვის და სოციალურად დაუცველი პირებისთვის ეწყობა ექსკურსიები კოლეჯში, რათა მოხდეს ხელშეწყობა მათთვის შესაფერისი პროფესიებისს არჩევაში.

კითხვაზე, თუ რამდენად პრიორიტეტულია კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისათვის დუალური (სამუშაოზე დაფუძნებული) სწავლება, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა 88% პრიორიტეტულად მიიჩნევს დუალური მიდგომით სწავლებას და თვლის, რომ ამგვარი სწავლებით მზადდება კვალიფიციური და კონკურენტული კადრი. შესაბამისად მათი დასაქმებაც გაცილებით მარტივია. 9% თვლის, რომ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია და მხოლოდ ერთმა ადამიანმა განაცხადა, რომ დუალური მიდგომით სწავლება არც თუ ისე მნიშვნელოვანია.




ა
ღ
ნ
ი
შ
ნ
უ
ლ
ი

კ
ვ

ლევის ფარგლებში შესწავლილი იყო, თუ რომელი პროფესიებია კონკრეტული მუნიპალიტეტებისთვის ყველაზე მოთხოვნადი. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა სფერო აქტუალურია, მაგრამ გამოიკვეთა პრიორიტეტული პროფესიები.

კვლევის თანახმად, რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (98%) თვლის, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიები, საოფისე საქმე, მექანიზაცია და ავტომობილების შეკეთება არის მოთხოვნადი და დასაქმებადი პროფესიები. ღვინის მოვლა და ტექნოლოგიური დამუშავება მნიშვნელოვნად მიაჩნია რესპოდენტთა 78%-ს. სამშენებლო სფეროს პრიორიტეტულად მიიჩნევს 67%, ტურიზმის მიმართულების სპეციალობებს, მომსახურების სფეროს სპეციალისტს, ძრავის შეკეთებას, ტრაქტორისტ-მემანქანის პროფესიას პრიორიტეტულად მიიჩნევს რესპოდენტთა 65%. კვების სფერო, მომინანქრება და აღმზრდელის პროფესია მოთხოვნადად დასახელდა 33%-ის მიერ.




ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მხრიდან კახეთის რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე, სამომავლოდ პერსპექტიულ მიმართულებად დასახელდა აგრარული სფეროს სპეციალობები:

1. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება,
2. პირუტყვის მოშენება/ვეტერინარია
3. ღვინის მოვლა, ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა;
4. ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნარგავებით;

თვითმმართველობის წარმომადგენელთა აზრით, მომავალში პრიორიტეტული იქნება ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მოთხოვნა გაიზრდება სპეციალისტებზე. ასევე მნიშვნელოვანი აქტუალური იქნება ტურიზმის მიმართულების სპეციალობები.

# დასკვნა

გამოკითხვის შედეგებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლეჯ „აისის“ მიერ შეთავაზებული თითქმის ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არის მოთხოვნა და საზოგადოების დიდი ნაწილი მზად არის ახალი ცოდნის მისაღებად. კერძო სექტორის (დამსაქმებლების) მნიშვნელოვანი ნაწილისთვის კი მისაღებია კოლეჯ „აისთან“ თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმა.

იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი „აისი“ კახეთის რეგიონში წარმოადგენს პროფესიული განათლების ყველაზე დიდ პროვაიდერს და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებშიც (ახმეტა, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოკლევადიანი მომზადების კურსების განხორციელებასაც, რომელზეც ასევე არის მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან, განსაკუთრებით აგრარული მიმართულების სპეციალობებზე.

მოკლევადიანი კურსები შესაძლებლობას მოგვცემს გავზარდოთ რეგიონში დასაქმების მაჩვენებელი და ხელი შევუწყოთ ადგილობრივი ბიზნესის წარმოებასა და თვითდასაქმების მაჩვენებლის ზრდას.